№ 252
კვირა, 21 ნოემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 252
კვირა, 21 ნოემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 24 ნოემბერს.


## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 25 ნოემბერს,

ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ახალი პიესა

**ქორწილი სოფლად**

ორგინალი ოპერეტკა 2 მოქ. ცეკვა-სიმღერებით. (სოფლის ცხოვრებიდგან)

II

**ბიძიასთან გამოჯუმრება**

კომ. 1 მოქმედ., გადმ. რ. ერისთავის-მიერ

III

**მშვენიერი ელენეს მაძიებელნი**

ფარსი 2 მოქ., გადმოკ. ა. ცაგარლის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ტასო აბაშიძე; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აბაშიძე, და სხვ.

აგრეთვე ბ-ნ კავსაძის **ხორო**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

## ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

**სალომე ი. კერესელიძე**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—21)

კვირას, 21 ნოემბერს, 1899 წელს, ნაშუადღევის 4 საათზედ

**„შრომის"**

სადურგლო სახელოსნოში,

მადათოვის კუნძულზედ, მუხრან-ბატონის შენობაში, დანიშნულია

**საგანგებო კრება**

რომლის განსახილველი საქმეები იქნება, მართველობის წინადადება და სახელოსნოს მიმდინარე საქმეების გაფართოება. (3—80—3)

კვირას, 21 ნოემბერს, დანიშნულია კრება სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში ქართველთა საალებ-მიმცემო ამხანაგობის

**„შუამავალი"-სა.**

კრებას უნდა მოხსენდეს „შუამავალის" მაღაზიის უკეთესს ადგილზედ გადატანისა და მისს გაუმჯობეს, გაფართოების საქმე. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, რადგანაც განგრძობაა ამა თვის 7-ს ყოფილის კრებისა.

კრება დაიწყება საღამოს 7 საათზედ. (3—6.—3)

მოვიწვევ მსურველებს ახლად შედგენილ ქართულ საეკკლესიო მგალობელთა გუნდში მონაწილეობის მისაღებად გალობის დროს; მოწონებულ მგალობელს დაენიშნება ჯამაგირი. პირობების შეტყობა შეიძლება ჩემთან.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, სახლი № 5.

გამგე—ლოტბარი გუნდისა ალექსანდრე (6—უ.—4) გრიგოლის ძე კავსაძე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

ჯუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ექიმი

**კ. ს. გძელიშვილი**

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.** (100—31—42)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).


## ახალი ამბავი

⁂ საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო დაარსდეს ხუთი საჯარო წიგნთსაცავი კავკასიის სამოსწავლო ოლქის ექვს-კლასიან საქალაქო სასწავლებლებთან.

⁂ საქართველოს საეგზარხოსოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭომ, რომელსაც ქალაქის გამგეობამ ოთახები არ დაუთმო შიოევის ქარვასლაში წმ. აბოს სამრევლო სკოლის მოსათავსებლად, სთხოვა იმავე გამგეობას, დაუნიშნეთ საბჭოს შემწეობა ხსენებულ სკოლისათვის სადგომის დასაქირავებლადაო.

⁂ კვირას, 21 ნოემბერს, პეტრე-პავლეს სამართლმადიდებლო სამრევლო სკოლაში მოხდება აქტი, რომელზედაც მოსწავლენი ლექსებსა და არაკებს წაიკითხავენ. მოსწავლეთა გუნდი შეასრულებს სასულიერო და საბავშვო საერო საგალობლებს და სხ..

⁂ 1-ლ სავაჟო გიმნაზიის დირექტორმა წარუდგინა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს საგიმნასტიკო საზოგადოების წესდების პროექტი.

⁂ პ. ე. სალტიკოვმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე იმის შესახებ, რომ მას ნება მიეცეს დააარსოს ტფილისში ხმალში ვარჯიშობის კურსები.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ სასამართლოს განყოფილების საზოგადო კრების დადგენილებით, რომელიც მოხდა 1899 წ. 13 ნოემბერს, გიორგი ბექანის-ძე გვაზავა მიღებულ იქმნა ტფილისის სამოსამართლო პალატის ოლქის ნაფიც ვექილად.

⁂ გუშინ, 20 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ევანგულოვმა განკარგულება გასცა მთელს გამგეობას, რომ გაზეთების წარმომადგენლებით გამგეობის კანცელარიაში ნუ შეუშვებთ და ნურავითარს ცნობებს ნუ მისცემთ, იმ დადგენილებათა შესახების გარდა, რომელიც ჩემ-მიერ ხელ-მოწერილიაო.

რა მინდაო, ნეტა, ვითომ?!..

⁂ 22 ნოემბერს ქალაქის საბჭოს სხდომაზედ განსახილველად დანიშნულია, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: გამგეობის დადგენილება ავლაბრის პროგიმნაზიისათვის აღმოსაჩენ შემწეობის რაოდენობის შესახებ; გამგეობის 1894 და 1895 წლის ანგარიში; საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება საბჭოში საქმეთა წარმოების წეს-რიგის შესახებ; გენ. ბუჭყიაშვილის საჩივარი გამგეობაზედ, რომელსაც საბჭოსათვის მისი განცხადება არ წარუდგენია ქალაქისათვის სახლის ყიდვის შესახებ; ქალაქის მოურავის მოხსენება ქალაქის ბაკის ნიხრის დამტკიცების შესახებ და სხ...

⁂ ქ. ტფილისის პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულად, როგორც ისმის, ინიშნება ყარაიის ნაწილის ბოქაული გრიქუროვი.

⁂ ქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ მ. ს. შესტაკოვი და თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, რომელნიც საბჭომ ხელმეორედ აირჩია მომავალის ოთხის წლისათვის, დამტკიცებულ იქმნან გამგეობის წევრთა თანამდებობაში.

⁂ სახელმწიფო ვალების გარდამხდელი კომისია აცხადებს, რომ რადგან 1900 წ. 15 იანვარს ვადა გასდის იმ კუპონებს, რომელნიც 1-ლ, მე 2, მე-3 და მე-4 სესხის 6%-ის ბილეთებთან იქმნა გაცემული 1890 წელს მე-4 ათის წლისათვის, ამის გამო ახალ კუპონის ფურცელთა გაცემა აღნიშნულ ბილეთებთან მე-5 ათის წლისათვის (1900 წ. 15 იანვრიდგან 1910 წ. 15 იანვრამდე) მოხდება პეტერბურგში, სახელმწიფო ვალების გარდამხდელ კომისიაში.

⁂ ამ მოკლე ხანში შეუდგებიან ქალაქის მთავარ-სამკურნალოს გაფართოებას, რისთვისაც დაქირავებულია სამკურნალოს მახლობლად მეორე შენობა. ამასთან ერთად გაფართოებულ იქმნება იმავე სამკურნალოს ავლაბრის განყოფილების სადგომი.

⁂ ქალაქის გამგეობამ შეატყობინა საგუბერნიო გამგეობის სამკურნალო განყოფილებას, რომ ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარი ამ ჟამად უკვე მთლად გაივსო და ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილიაო.

⁂ სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი შუამდგომლობს ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ დასუფთავებულ იქმნას დიდ-ხევის ხრამი, რომლის აქეთ-იქით საცხოვრებელი სახლები იმყოფება და რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ამ ჟამად მეტად უსუფთაოდ არის.

⁂ 18 ნოემბერს რკინის გზის განსაკუთრებულმა კომისიამ დაადგინა: დაუყოვნებლივ შეუდგნენ ყარსის რკინის გზის ჩაბარებას.

⁂ 18 ნოემბერს, როგორც ქალაქის მიწის-მზომელი იუწყება, ავლაბრის აგარაკის ქალაქის დარაჯს ბაგატირევს თავს დასხმიან მუშები და უცემნიათ. გამოირკვა, რომ ბაგატირევს, შეუნიშნავს რა 50 მუშა, რომელნიც თუმანიანცის ნავთის საწყობთან მუშაობდნენ, მოუთხოვნია მათგან ქალაქის გამგეობის მოწმობა მუშაობის უფლების შესახებ. პასუხად მუშებს მისთვის გინება და ბოლოს-კი ცემაც დაუწყვიათ.

⁂ ქალაქის გამგეობამ ავლაბრის სამოსახლო ადგილების იჯარით გაცემის შესახებ, რომელნიც უკვე დაგეგმილ იქმნენ, დაადგინა: ის ადგილები, რომლებიც კახეთის გზატკეცილის მახლობლად იმყოფება, არ იქმნას იჯარით გაცემული; დანარჩენის ადგილების გასაცემად, „დრაგუნის მოედნის" გარდა, დანიშნულ იქმნას საჯარო ვაჭრობა; თავდაპირველად ვაჭრობით გაიცეს 35 ადგილი ესკადრონის ქუჩის აქეთ-იქით; ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების ნება მიეცეს მხოლოდ იმათ, ვინც ამ ხუთის წლის წინად დასახლებულა ტფილისში და ვისაც ქალაქში საკუთარი ადგილი არ აქვს შეძენილი; ამ ადგილების გაცემის შემდეგ ქალაქის გამგეობას უფლება მიეცეს ამავე პირობებით გასცეს, საჭიროების-და კვალად, დანარჩენი ადგილებიც.

⁂ ქალაქის გამგეობამ განიხილა ტრაქტირებისა, დუქნებისა და სარდაფების პატრონთა თხოვნა სატრაქტირო გარდასახადის განაწილების შეცვლისა და ამ გარდასახადის ნაწილ-ნაწილად გარდახდის შესახებ და დაადგინა: დუქან-ტრაქტირების პატრონთა თხოვნა გარდასახადის განაწილების შეცვლის შესახებ უყურადღებოდ იქმნას დატოვებული, ხოლო რაც შეეხება გარდასახადის ნაწილ-ნაწილად გარდახდას, გამოეცხადოს მთხოვნელთ, რომ ამ გარდასახადის გასასტუმრებლად წელიწადში ორი ვადაა დანიშნულიო.

⁂ სადგ. ყვირილიდგან იუწყებიან, რომ ქუთაისის გუბერნიაში მთელს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ ამ უკანასკნელ დღეებში დიდი თოვლი მოდის და ქარბუქი მძვინვარებს, რომელიც გზას და შორაპნის მაზრის მცხოვრებთ დიდ ზარალს აყენებსო. ტელეგრაფი ბევრგან ძლიერ დაზიანებულია და აღარ ჰმუშაობს თურმე.

⁂ ძეგვის ხიდთან, სადაც ამ დღეებში მატარებელი დაიმტვრა, ჯერ კიდევ სწმენდენ გზას. 19 ნოემბერს დილის სამგზავრო მატარებელი გაგზავნილ იქმნა ბათუმისაკენ, მაგრამ შემდეგ ნაწილის უფროსისაგან ამბავი მოვიდა, რომ მატარებელთა მიმოსვლა ძეგვის ხიდზედ საშიშია, ამის გამო მიმოსვლა ხელმეორედ შესწყდა და საღამოს სამგზავრო მატარებელი აღარ გაუგზავნიათ ბათუმისაკენ.

⁂ 18 ნოემბერს, ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგ. აჯიქაბულში, როგორც ისმის, საქონლის მატარებლები დასჯახებიან ერთმანეთს. არავინ დაშავებულა, მხოლოდ რამდენიმე ვაგონი დამტვრეულა.

⁂ 18 ნოემბერს ბელაგორის რკინის გზის სადგურის მახლობლად ლიანდაგს გადასცდა ძირულის სადგურისაკენ მიმავალი საქონლის მატარებელი. არავინ დაშავებულა. გზა შეიკრა. სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა არ შეწყვეტილა, რადგან მგზავრები ერთის მატარებლიდგან მეორეში გადაჰყავთ.

⁂ 18 ნოემბერს დიდის თოვლის მოსვლის გამო სადგ. შორაპან-ძირულასა და ძირულა-ბელაგორის შუა მატარებელთა მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. საღამომდე გზა გასწმინდეს თოვლისაგან და მიმოსვლა აღადგინეს მხოლოდ სამგზავრო მატარებელთათვის.

## ქართული სახელწოდებანი შამახიისა და ლენქორანის მაზრებში.

(წერილი ლენქორანიდგან)

როგორც მატიანე მოგვითხრობს, „შემოდგომას 1124 წელს დავით აღმაშენებელი წარემართა შირვანს და აღიღო ქალაქი შემახია და ციხე ბიგრატი, სრულიად ყოველი შირვანი და დაუტევა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი." *) ეხლა შემახიის მაზრაში შეხვდებით ბევრს ადგილს ქართულ სახელწოდებით მაგ., შემახიიდგან დასავლეთით მდებარეობს სომხების ორი სოფელი, ერთს ჰქვიან „გურჯიავანი" და მეორეს—„გიურჯი ქანთი". პირველის შესახებ ის გადმოცემაა, რომ ეს სოფელი „უხსოვარ დროიდგან" დაუარსებიათ თითქოს „გიურჯ"—(ქართველ) იგავნეს, და მეორე ჰნიშნავს თვით შემახიის ბაზრის დუქნების რიყოლებს, დღესაც ეწოდება „გურჯი ბაზარ"-ი და ზოგიერთ შემახიელების ხსოვნაში დღესაც დარჩენილა, რომ ეს რიგი დუქნებისა ქართველ ვაჭრებს ჰქონიათო.

შემახიიდგან ჩრდილოეთით, სამოცამდე ვერსტის მოშორებით, სადაც ეხლა უშველებელი რუსის სოფელი—„ალთი-აგაჩი" არის გაშენებული, ტყით დაბურულ ერთს ციცაბო კლდეზედ ჰნახავთ ნანგრევებს მველებურ ნაკომკარისას, რომელსაც ეწოდება „გიზ-კალასი". ბევრს ახლო მდებარე სოფლების მოხუცთ გამოკითხეთ და დაახლოვებით ასე რა გადმოგცეს: „გურჯებს ერთი ძლიერი ხელმწიფე ქალი ჰყოლიათ; იმას რომ შირვანის მხარე დაუპყრია, ეს კოშკიც აუშენებია, და მის შემდეგ ეს სახელიც („გიზ-კალასი") დარქმევია.

ლენქორანის მაზრაში, 150 ვერსტის მოშორებით ქ. ლენქორანიდგან, ზუვანდის ტყით დაბურულ მაღალ მთებში, იქ, სადაც 5—10 ვერსტის იქით იწყება სპარსეთის სამფლობელო, შეხვდები ქართველების ნასოფლარს, რომელსაც ეწოდება „გიურჯი გიოლ." სიტყვა „გიოლ" ადერბეიჯა—ტალიშურად ჰნიშნავს ტბას, ორივე სიტყვა-კი ერთად—ქართველების ტბას—გუბეს. ეს ადგილი ეხლა ტყით არის დაფარული და ტბა (უფრო გუბე წყლისა) ეხლაც არსებობს და, როგორც მითხრეს, ხმელდება არა შრება; ამასთანავე ვერც შეატყობთ, თუ საიდგან გროვდება იმაში წყალი. ამ გუბის ახლო მახლო ჰნახავთ ხშირ ნასოფლარს. „გიურჯი გიოლზედ" ექვსიოდე ვერსტის მოშორებით მდებარეობს მხოლოდ ერთი თათრის სოფელი „ხანაგია". რამდენსამე ღრმად მოხუცებულ ხანაგიელს გამოვკითხე და გადმომცეს, რომ გიურჯი-გიოლში უხსოვარ დროიდგან, როგორც გაგვიგონია მამა-პაპათაგან, ყოფილა გაშენებული ქართველების სოფელი. ამ ქართველებისთვის ერთ სპარსეთიდგან მოსულს იმამს (წმიდანს) ჰუსეინს აუტეხნია ომი და ერთიანად ამოუწყვეტია გაიუგია ქართველებიო. თვით იმამ ჰუსეინის სასაფლაო (აკლდამასავით) ეხლაც არსებობს სოფ. ხანაგიაში და ამ სასაფლაოს, როგორც წმიდა ადგილს, თაყვანსა სცემენ თათრები.

ქიურჯი-გიოლიდგან 10—15 ვერსტის სიშორით ვაშლიან და მუხნარით დაბურულს ტყეში არის ერთი მეტად მოზრდილი წყარო, რომელსაც ჰქვიან „გიურჯი ჩაშმა". „ჩაშმა" ტალიშურად ჰნიშნავს წყაროს. „გიურჯი გიოლ"-ზედ კიდევ კარგა მოშორებით, მაღალ მთებზედ მდებარე ზუვანდის იაილებში არის ერთი კარგა მოზრდილი სახნავ-სათესი ადგილი, რომელსაც ჰქვიან „გიურჯი ზამისი". „ზამი"—ნიშნავს სახნავ ადგილს.

გ. ახალციხელი

*) იხ. ქრონიკები ბ-ნ თ. ჟორდანიასი გვ. 248.

## „სამეურნეო-მოქმედი კავშირები" გალიციაში.

პირველი ასეთი „კავშირი" დაარსებულ იქმნა ჯერ ისევ 1882 წელს. მას აქეთ „კავშირები" ძალიან გავრცელდა, ასე რომ 1898 წლის გასულს მათი რიცხვი 1350-მდე ავიდა, ხოლო წევრთა რიცხვი 58,000 კაცამდე. კავშირების წევრებად, რასაკვირველია, გლეხები არიან, მაგრამ ყოველგვარს საქმეებს კავშირისას განაგებენ სოფლის მასწავლებელნი, მღვდელნი და სხვა განათლებულნი კაცნი, რომელნიც სოფლად სცხოვრებენ. სწორედ ამ მასწავლებლებისა და მღვდლების მეცადინეობას მიეწერება „კავშირების" გავრცელება და მათ მიერ კარგის ნაყოფის მოტანა.

როგორც უკვე ვთქვით, კავშირებს აზრად სოფლის მცხოვრებთა (თავისისავე წევრების) გონებრივ და ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესება აქვს. პირველის საგნის მისაღწევად აარსებენ წიგნთ-საცავ-სამკითხველოებს, კლუბებს, სასწავლებლებს და სხვას. ამ საქმეში დიდს დახმარებას უწევს კავშირებს მთავარ-სამმართველო, რომელიც ქ. ლვოვში არსებობს. წიგნთ-საცავებისათვის, მაგალითად, ეს სამმართველო უგზავნის ხოლმე პოლონურს და რუსინურს სახალხო წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს. 1897 წლამდე კავშირების წიგნთ-საცავებისათვის ამ სამკითხველოს გაუგზავნია სულ 41,357 წიგნი. ეგევე სამმართველო ჰბეჭდავს კავშირების წევრებისათვის განსაკუთრებულ გაზეთს—„Przewodnik"-ს, რომელშიაც იბეჭდება წერილები ხვნა-თესვის, მებაღეობისა, მებოსტნეობისა და მეურნეობის სხვა დარგის შესახებ. სწავლა-ცოდნის გასავრცელებლადვე კავშირების მეთაურნი დრო-გამოშვებით ჰმართავენ კითხვებსა და საუბრებს. ყველა ამის გარდა მთავარ-სამმართველოს განსაკუთრებული აგრონომები ჰყავს, რომელნიც სოფელ-სოფელ დადიან და კითხვებს ჰმართავენ მეურნეობის შესახებ. ასეთ კითხვებს აუარებელი ხალხი ესწრება თურმე ყოველთვის. რევიზორი კითხვით არა კმაყოფილდება, ჰსინჯავს სოფელში მოხნულ მიწებს, ბაღებს, ბოსტნებს და არიგებს ხალხს, როგორ უნდა და როგორა სჯობია ყველა ამ საქმის წარმოება.

# ფელეტონი

## ბ-ნ ნ. ჟორდანიასი და „მისთა ძმათა რეალური გამულიშვილობა".

(„კვალის" ორი მეთაური წერილის: („რომანტიზმი" და „ჩვენი მწერლობის წვრილმანები"-ს) გამო).

„Всякій шагъ впередъ опредѣляется тѣмъ, что прочувствовано, а не тѣмъ, что понято"...

რიბო

ერთი ახირებული, მაგრამ უცვლელი, თვისება აქვს ადამიანს: ხშირად, ძლიერ ხშირად სხვის თვალში ბეწვს შენიშნავს ხოლმე, თავისაში-კი მთელს ჯირკს ვერ ამჩნევს. თვისი თავი ყოველთვის უკეთესად მიაჩნია, მეტს ღირსებას აწერს, და რაც კაცი უფრო გონება შემოფარგლულია, გრძნობა დახშული და ზნეობრივად საეჭვო,—თვისებით იმდენად უფრო ჰმეტობს, ჰლოწივრობს.

ღორმუცელა, მყვლეფავი და უსინიდისო ვაჭარ-მევახშე ყოველთვის თავისს ამხანაგს სთვლის ქვეყნის მჭამელად, სინიდისისა და ზნეობის უარმყოფელად, ხალხის კეთილდღეობის გულ-ღვიძლის მტრად,—თავის თავს-კი უცოდველ, სინიდისით აღსავსე და გაჭირვებულთა შემწე-შემწყნარებელ კაცად. უნიჭო მწერალს თვისი თავი უდიდეს ნიჭის პატრონად მიაჩნია, რომლის გაგება და ღირსეულად დაფასება მხოლოდ მომავალს შეუძლიან,—თავისი ნიჭიერი, „ზეგარდმო ნიჭით ცხებული" ამხანაგი-კი უნიჭოდ, ქარაფშუტად, ნაბოლარად... გარყვნილ-უზნეო დედაკაცს, რომელიც ყოველდღე იცვლის საყვარლებს, თავისი თავი ღირსეულად მიაჩნია: მისის აზრით, სხვა ქალები უარესს სჩადიან, სხვანი უფრო წამხდარ-გარყვნილები არიან. აბა ჰნახეთ, რომელიმე გარყვნილი დედაკაცი, როგორ ჰკიცხავს სხვას? რა ყოყოჩობით უკიჟინებს სხვას გარყვნილობას?... უსინიდისო ხშირად უკიჟინებს სინიდისიერს „შე უსინიდისოო"; მხდალი და ლაჩარი მამაცს—„შე მხდალოო", ქურდი და გაიძვერა პატიოსანს—„შე ქურდოო"; ლაქუცა, ფლიდი, ქვემძრომი პირდაპირს, მიუკერძებელს—„შე ფლიდო და გაიძვეროო", ტრაბახი, ენამრავალი ჩუმს—„შე ტრაბახოო", ეგოისტი, წვრილმანი თავ-მოყვარე, განდიდების მადით შეპყრობილი სასარგებლოდ მოღვაწეს—„შე ეგოისტოო, და სხვა-და-სხვა; მახინჯი, უშნო-ულამაზო შნოიან-მარილიანს—„შე უშნო, ულამაზოო"!

ასეთია თვისება ადამიანისა!

მხოლოდ ნამდვილი განათლება, აზრიანი აღზრდა და მუდმივი შრომა-დაკვირვება შეუსუსტებს ადამიანს ამ სამარცხვინო თვისებას. საჭიროა ჰარმონიული გაშალაშინება კაცის ყველა თვისებისა, რომ ეს ღვარძლი აღმოიფხვრას. მარტო გონებრივი განვითარება, ბუნებრივი ნიჭი საკმარისი არ არის, რომ ეს თვისება შესუსტდეს. აზროვნობის ისტორიიდგან ვიცით, რომ ხშირად შესანიშნავი პოეტნი, ფილოსოფოსნი და სწავლულნი უზნეო და წვრილმანის თავ-მოყვარეობის კაცნი ყოფილან.

დავუკვირდეთ ევროპის სწავლულებს და საზოგადო მოღვაწეებს: რას ვხედავთ? იქ ერთი სწავლული მეორეს მიწასთან ასწორებს, სულ არა-რად სთვლის იმისს შრომა-მოღვაწეობას და ეს იმისთვის, რომ ისინი სხვა-და-სხვა მიმართულების მიმდევრები არიან; იქ ერთი დასი მეორეს მამულის მტერად, სამშობლოს გამყიდველად სთვლის და ეს იმისთვის, რომ მათ სხვა-და-სხვა პოლიტიკური იდეალი აღფრთოვანებს; იქ ეკონომისტ-სუბიექტივისტი ეკონომისტ-დიალექტიკს გადაჰკიდებია და ჰყვირიან: „არა, მე ვარ ქვეყნის მხსნელი და არა შენო". პოეტ-რეალისტი ზიზღით უყურებს სიმბოლისტს; დეკადენტს კი ორივე სძულს და თავისი თავი მიაჩნია თანამედროვე პოეზია-ხელოვნების წარმომადგენლად და სხვა-და სხვა.

ერთის სიტყვით, ყველა თავისს იდეალს ებღაუჭება და ჰგონია, იმაზედ უკეთესი კაცის ჭკვა-გონებას არ გამოუგონიაო, ყველა თავისს კერპს გარს ევლება და უხვად უკმევს გუნდრუკს.

თავის თავად ასეთი აზრ-იდეალთა რწმენა-მიმართულებათა შეჯარება, ბრძოლა კარგია; უამისოდ პროგრესსი და წინმსვლელობა შეუძლებელია. საზოგადოების „დათიშვა", დას-დასებად დაყოფა ნიშანია აზრთა მოძრაობისა, ცხოვრების განვითარებისა.

მხოლოდ ცუდი მხარე ასეთ ბრძოლა-შეჯარებისა ის არის, რომ აქ ხშირად მებრძოლის პირადი თავმოყვარეობა და ის გასაკიცხი თვისება, რომელზედაც მე ამ წერილის პირველ სტრიქონებში მქონდა საუბარი, აღვირს წაიხსნის ხოლმე და წარა-მარა დაიწყებს თარეშს. მებრძოლი ივიწყებს უმთავრესს საგანს და თავისის თავის ქება-დიდებას შეუდგება. მისის აზრით, ის მიმართულება, რომელსაც ის ადგას, უტყუარია, ახალი და პროგრესსიულია; სხვა-კი ძველი, უაზრო, ცხოვრების ჩარხის უკან დამტრიალებელი; მისის აზრით, მხოლოდ მისნი მოძმე-თანამგრძნობნი არიან განვითარებულნი, მოწინავე კაცნი, ნამდვილნი მამულის შვილნი; სხვანი—რეტროგრადები, ობსკურანტები, უკან-ჩამორჩენილნი. ყოველივე მათ წინააღმდეგ დაწერილი წერილი—უნიჭოდ დაწერილია; ყველა მათი მოწინააღმდეგე „გონება და გრძნობით ღატაკია", „ფლიდი, უგულო და მატყუარაა". რისთვის? რა ნაირად? ნუ შეწუხდებით და ამას ნუ იკითხავთ! დასაბუთებას რა ადგილი აქვს იქ, სადაც უცოდველი პაპი ამბობს. მებრძოლმა მკვახე და საგინებელი ფრაზები მოაქუხა ერთად და გულში ხელის კვრით გეუბნება: „მოგხვდა თუ არაო"!

აღვირ წახსნილ თავ-მოყვარეობის ღვიძლი შვილია ყოყოჩობა, რიხა-

რაც შეეხება ხალხის ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამ მხრივ კავშირები უფრო მეტს მეცადინეობას იჩენენ. კავშირის გამგენი კარგად ჰხედავენ, რომ ხალხის ქონება თითქმის მთლად სოფლის დუქნების პატრონთა ჯიბეში მიდის. მედუქნეებად გალიციაში მარტო ებრაელნი არიან. აი, კავშირებმა ამ მედუქნე ებრაელებს გაუწიეს მეტოქობა და თითქმის ყველგან, სადაც-კი კავშირია, თვით დააარსეს დუქნები. დღეს ასეთი დუქანი გალიციაში 1000-ზედ მეტია, რომლებზედაც 1,000,000 მანეთი იქმნება დახარჯული. ამ დუქნებმა საშინლად შეავიწროეს სოფლის ჩარჩ-ბაცაცები, რადგანაც ყოველსავე სოფლის ნაწარმოებს თვით ჰყიდულობენ კარგ ფასად და ჩარჩებს ძველებურად თარეშის ნებას აღარ აძლევენ.

წმინდა შემოსავალი დუქნებისა ჰხმარდება სოფელსავე: ამ ფულით აარსებენ სკოლებს, იწერენ სასოფლო-სამეურნეო იარაღს, გაჰყავთ წყალი სარწყავად, აარსებენ აგრეთვე სავაჭრო კურსებს, ერთის სიტყვით, ეს ფული სოფლის მრავალგვარ საჭიროებას აკმაყოფილებს. დუქნებს გარდა კავშირები აარსებენ ყველა სოფელში საზოგადო ფურნეებს, სარძევეებს, აგურების ქარხნებს, წისქვილებს და სხვას.

როგორც ჰხედავთ, სამოქმედოთ „კავშირებს“ მეტად დიდი ასპარეზი ამოურჩევიათ. კეთილი ნაყოფი, ამ „კავშირების“ მიერ მოტანილი გალიციაში ეხლა თვით სოფლელთათვისაც აშკარაა. ყველა ეს-კი კავშირებმა შესძლეს იმ მცირე საწევრო ფულით, რომელსაც ყოველ წლიწადს წევრები იხდიან. ეხლა გალიციის იმ ადგილებში, სადაც კავშირები არ არის, სოფლელნი თვით მეცადინეობენ და აარსებენ კავშირებს.

უცნობი

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** 20 ოქტომბერს, სწორედ იმ დღეს, როცა გენერალი ბულლერი კაპშტადტში მივიდა, მან საქვეყნოდ წარმოსთქვა, რომ „დღევანდელის რიცხვიდგან ოთხი კვირის განმავლობაში ინგლისის დროშა გაშლილი იქმნება პრეტორიაშიო“. დღეს სწორედ ერთი თვე შესრულდა ამ დიდ მნიშვნელოვან სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, მაგრამ არა თუ ბულლერის სიტყვა არ გამართლდა, არამედ ცოტაოდნადაც არ გაუმჯობესებულა ინგლისელების მდგომარეობა ბრძოლის ველზედ. ამ დღეებში ინგლისიდგან მოსულმა დეპეშებმა ხმა გაავრცელეს, რომ გენერალმა მეტუენმა საშინლად დაამარცხა ბურები ბელმონტენთანო, მაგრამ, როგორც უკანასკნელად გამოაშკარავდა, ეს ხმები ტყუილი ყოფილა. ნამდვილად-კი თითონ მეტუენი დაუშინებია ბურებს ბრძოლის დროს და, რაც უფრო საყურადღებოა, ინგლისელების მხრივ 1,800 კაცამდე დაუხოციათ, დაუჭრიათ, თუ ტყვედ წაუყვანიათ. როგორც სჩანს და რასაც უკვე ამტკიცებენ გაზეთები, ინგლისისათვის საკმარისი არ არის ბურების დასამარცხებლად ის ჯარი, რომელიც მას სამხრეთ აფრიკაში ჰყავს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მთავარ-სარდალი გენერალი ბულლერი ჯერ პირდაპირ მონაწილეობას არ ღებულობს ბრძოლაში და არც იციან, რომელ ჯარში მიიღებს ის მონაწილეობას, იმაში, რომელიც ნატალში მოქმედობს, თუ კაპის ახალშენში. ამას გარდა ინგლისის სამხედრო მთავრობა ახალს ჯარებს იწვევს აფრიკაში გასაგზავნად: უკვე ბრძანება არის გაცემული, რომ სალაშქროდ ფეხზე დააყენონ მეექვსე დივიზია და მილიციის რვა ახალი ბატალიონი შეადგინონ. ამასთან ერთად ინგლისის მთავრობა სცდილობს, — ორანჟეს რესპუბლიკა ჩამოაცალოს ტრანსვაალს და, ეს თუ არ მოხერხდა, ზავის ჩამოგდების შესახებ მაინც დააწყებინოს მოლაპარაკება. ინგლისი თუმცა გაჭირვებულია, მაგრამ მაინც იმდენად თავ-მომწონეა, რომ პირველად თითონ არ ითხოვს, ომი შევსწყვიტოთო. მაგრამ ორანჟეს რესპუბლიკა ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ტრანსვაალთან, რომ იმის მაგიერ, რომ ზავის ჩამოგდება ურჩიოს მას, კაპის ახალშენის გარკვა დიდი ადგილი შეუერთა თავისს სამფლობელოს.

—

**ავსტრია.** გრაფ ტუნის მინისტრობის დროს, ნემეცების ერთი დასი უშლიდა ხელს ვენის პარლამენტს და ლონისძიებას უსპობდა რაიმე გაეკეთებინა; ამ ჟამად-კი, როცა კლარის სამინისტრომ ნემეცების მოთხოვნილება დააკმაყოფილა, გ. ი. ჩეხური ენა აჰკვეთა ბოჰემიის სახელმწიფო დაწესებულებებში, ჩეხებმა დაიწყეს აბსტრუქცია პარლამენტში და მთავრობას საქმეს უჭირვებენ. 11 ნოემბრის სხდომის დროს, ჩეხების ყველა ორატორმა განაცხადა სურვილი ლაპარაკისა. პირველად ილაპარაკა დეპუტატმა დოლეჟალმა, რომელმაც პროექტი წარუდგინა პარლამენტს 1900 წელში ავსტრიის მცხოვრებთა საყოველთაო აღწერის შესახებ. დოლეჟალის სიტყვამ დიდხანს გასტანა და რეიხსტაგის პრეზიდენტი იძულებული გახდა შეეჩერებინა ის. მაშინ ორატორმა მოაგონა თავმჯდომარეს, რომ ლეხერმა 12 საათს ილაპარაკაო და დაემუქრა, რომ თუ სიტყვის გაგრძელების ნებას არ მომეცით, ჩეხები მოვითხოვთ, — თითოეული საგანი კენჭის ყრით იქმნას გარდაწყვეტილიო. თავმჯდომარე იძულებული იყო სიტყვა არ ჩამოერთმია. განაგრძო-რა ლაპარაკი, დოლეჟალმა ალფავიტის რიგზედ ავსტრიის ყველა ქალაქების ჩამოთვლა დაიწყო. დეპუტატებს მოეწყინათ, დარბაზში თანდათან ცარიელდებოდა; ვინც იქ დარჩნენ, კერძო მასლაათს შეექცეოდნენ. შემდეგ გარეშე მაყურებლებიც თანდათან გარედ გავიდნენ, მაგრამ დეპუტატი კიდევ ლაპარაკობდა. დარბაზში მხოლოდ 30 კაცი-ღა დარჩა, მაგრამ დოლეჟალის აუჩქარებელი ლაპარაკი კიდევ გაისმოდა. დეპუტატებს ისე მოაბეზრა თავი ქალაქების სახელწოდების ჩამოთვლამ, რომ არც-კი შეუმჩნევიათ, როგორ გათავა ლაპარაკი დოლეჟალმა და იმისი ადგილი როგორ დაიჭირა ტრიბუნაზე მეორე დეპუტატმა შილენიმ. ამ უკანასკნელმა წინადადება წარადგინა, რომ დაუყოვნებლად საჭიროა ხალხის საყოველთაო აღწერა მოხდეს მორავიაშიო. ღამის 4 საათზედ დეპუტატმა კრამარჟმა წინადადება მისცა პრეზიდენტს სხდომა დაეხურა, რაც შეწყნარებულ იქმნა.

## ბიბლიოგრაფიული ცნობა.

—

დრეზდენში დაიბეჭდა და გამოვიდა გერმანულად თარგმნილი არტურ ლეისტის მიერ ქართველთა პოეტთა ლექსები. წიგნი მშვენიერს ქაღალდზეა დაბეჭდილი, მშვენივრად გამოცემული; არშიები ჩვენებური, ქართული აქვს შიგა და შიგ სათაურებში ჩართული, აგრეთვე ჩვენებური სურათები ლექსების ბოლოს მოქცეულნი. წიგნს ვრცელი წინასიტყვაობა აქვს 31 გვერდიანი. აქ აღწერილია ბუნება და ადგილმდებარეობა საქართველოსი, მოთხრობილია მისი მოკლე ისტორია, მისის ერის თვისება-ხასიათი, ქართულის პოეზიის თვისება-მიმართულება, ზოგიერთის ცალკე პოეტის მოკლე ბიოგრაფია და პოეტური ღირსება და სხვა ამ გვარი. შიგ წიგნში მოთავსებულია 19 ლექსი თავ. გრ. ორბელიანისა, 9 ლექსი თ. ალ. ჭავჭავაძისა, 11 ლექსი თ. ნ. ბარათაშვილისა, 18 ლექსი ილია ჭავჭავაძისა, 16 ლექსი თ. აკაკი წერეთლისა, 4 ლექსი თ. ვახტანგ ორბელიანისა, 4 ლექსი თ. რაფიელ ერისთავისა, 10 ლექსი ლუკა რაზიკაშვილისა, 5 ლექსი ნიკოლოოზ რაზიკაშვილისა, თევდორე რაზიკაშვილისა, ევდოშვილისა, თ. გიორგი ერისთავისა, თ. მამია გურიელისა, მაჩხანელისა, გრ. ვოლსკისა, დუტუ მეგრელისა, თ. ვლად. მიქელაძისა, დომინიკე მდივანისა, კნ. ნინო ორბელიანისა, სვიმონ მესხიშვილისა და დ. გურამიშვილისა. გარდა ამისა 39 ხალხური ლექსია, ბევრი დამაკვირდი ვეფხვის ტყაოსნიდამ და სხვა თხზულებიდამ ამოღებული. დამაკვირდის გარდა სულ 153 ლექსია თარგმნილი.

იგი წიგნი გვანიშნებს, რომ მისს შემადგენელს აზრადა ჰქონია საკმაო სავსებით აცნობოს გერმანელებს ქართული ლიტერატურა, ნამეტნავად პოეზია და ერთობ საქართველოს გარეგანი და შინაგანი სახე, რამოდენადაც იგი გამოიხატება ქართულს პოეზიასა და ლიტერატურაში.

## სასამართლოს მატიანე

—

20 ნოემბერს მეორე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა საქმე ქ. ოდესის მილიონების პატრონის, ფქვილის დიდის ვაჭრის ბ-ნ შაპიროსი, რომელსაც ტფილისის ქალაქის გამგეობა უვარგისის ფქვილის გასყიდვის ბრალსა სდებდა. როგორც საქმიდგანა სჩანს, შაპიროს ტფილისის ვაჭრის იშხანოვისათვის მიუყიდნია 128 ტომარა ფქვილი. ეს ფქვილი უვარგისი გამომდგარა და იშხანოვს არ მიუღია. ამის გამო შაპიროს ოდესიდგან მიუნდვია თავისის კომისიონერის ბ-ნ კონისათვის, ვიდრე ამ ფქვილს სხვაზედ ვისმეზედ გაჰყიდდა, ბინა ეშოვნა მისთვის. კონს იგი დაულაგებია თამამშოვის ქარვასლაში, აქ უპოვნია მკურნალს და ოქმი შეუდგენია. ბ-ნ შაპიროს ვექილმა ბ-ნმა გრებენშჩიკოვმა აუხსნა მოსამართლეს, რომ ფქვილი გზაში გაფუჭებულაო. ექსპერტმა ოტტენმა-კი ის აზრი გამოსთქვა, რომ ფქვილი 14 დღის განმავლობაში ასე არ გაფუჭდებოდაო.

მომრიგებელმა-მოსამართლემ ბ-ნ შაპიროს ერთის თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

## დამავიწყდა

არისტოტელი თავისს პოლიტიკაში სწერს, რომ დედაკაცმა დიდად შეუწყო ხელი დამხობას სპარტისას, სადაც იგი დიდად თავისუფალი იყო.

ა. შოპენჰაუერი

* * *

ჭეშმარიტის მწერლის აზრი შეგადარე მთის წყაროს, რომელი მოდის, მოუკამკამებს განუწყვეტლად, სიცოცხლეს ჰმატებს გარემოს, აბიბინებს, ახმაურებს, აყვავებს, ალამაზებს...

ლასურიძე

---

ნობა და ლიტერატურული ტრაბახობა, ჩვენს მოღვაწეებსა და ლიტერატურას, სამწუხაროდ, ამ თვისებათა დაღი წარუშლელად აჰნია.

ჩვენში ყველა ჰყოყოჩობს: პოეტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. თუ ვინმემ ერთი გვარიანი ლექსი დასწერა, უდიდეს პოეტად მიაჩნია თავი; თუ ვინმემ ერთი მოძღვრება ძლივ-ძლივობით გადღეჭა-გაიზეპირა და უსიცოცხლო წერილი დასჯღაბნა იმისს შესახებ — პირველ, უებრო პუბლიცისტად ჰგონია თავისი თავი: ის არის მხოლოდ თანამედროვე განათლებული კაცი, კულტურა-პროგრესის ბაირაღტარი; თუ ვინმემ „რეჩი“ წარმოსთქვა ბანკში და ზუთხებით ამომრჩევლების გული მოინადირა, იმას თავი მოღვაწედ მიაჩნია და „კაპიტალების“ მოყვარე პუბლიცისტიც მხნე, ძალ ღონით აღსავსე მოღვაწის დიპლომს მისთავაზებს; თუ ვინმემ ორიოდე გროში შესწირა, ან შეაგროვა რომელსამე კეთილის საქმისათვის — თავისი თავი კეთილისმყოფელად მიაჩნია.

ამასთან ერთი მეორეს ჰკიცხავს, მეორე-მესამეს, მესამე-მეოთხეს; ერთი ამბობს: მე ვარ მეცნიერების ალფა და ომეგაო; მეორე — პოეზია — ეს მე ვარო; მესამე — ჩემისთანა განვითარებული, ევროპიულად განათლებული, ნიჭიერი პუბლიცისტი საქართველოში არ დაბადებულაო; სხვა ყველა უნიჭო, უგულო და ფლიდიაო; მეოთხე იძახის: ჩვენში საზოგადო საქმეს ყველა გაურბის, საზოგადო საქმის ყველა კარი ღიაა, იქ არავინ არისო; მაშ შარა-გზა მომეცი, ევროპიულად განათლებულებით უნდა ავამოძრაოთ საქმეო; მეხუთე ყვირის: გაგვეცალეთ ძველნო მოღვაწენო, თქვენ დაბერდით, აი პენსია, „ოსტავკის“ თხოვნა შეიტანეთო...

ამ საზოგადო ყვირილ-ხრიალში ყურთა სმენა არ არის; ორს შეწყობილს ხმას ვერ გაიგონებთ; ყველგან უსიამოვნო დისსონანსია.

ჩვენს ლიტერატურაში ასე იყო წინად, ასე არის ეხლა; ასევე იქნება მომავალშიაც, და ეს ჩვენის ცხოვრებით განუვითარებლობის ბრალია.

ვინ არ იცის იგავ-არაკი „მაიმუნი და სარკე“: მაიმუნმა ერთხელ სარკეში თავისი თავი დაინახა და სთქვა: „ფუ, რა საზიზღარი რამ არის ეს ჩემი თანამოძმე, ამისთანა მახინჯი რომ ვიყო, თავს მოვიკლავდიო“. იმას კი ვერ მიხვდა საცოდავი პირუტყვი, რომ საზიზღარი თითონ იყო.

აი ასეთი მაიმუნები ადამიანთა შორისაც ურევიან; მათ ყველგან წააწყდებით; წარმომადგენელი ყოველ სფეროში ჰყავთ: აღებ-მიცემობასა, ვაჭრობასა, ლიტერატურასა და პოლიტიკაში. ჩვენს კუთხეულს საქართველოშიაც ბლომად ჰფუსფუსობენ; მაგრამ სატირელი ის არის, რომ უნაკლოდ და მშვენიერად მიაჩნიათ თავი.

და აი, ორ ამ ჯურის ვაჟბატონის შესახებ მსურს მოვილაპარაკო.

ნ. ჟორდანია... ხომ გაგიგონია, ჩემო მკითხველო, ეს გვარი? თუ არ გაგიგონიათ, ნება გვიბოძეთ გაგაცნოთ: ეს ქართველების მარქსია, ლასსალია; „კვალის“ პუბლიცისტია, რომელმაც გვიქადაგა შესანიშნავი აზრი: „დევ, შენი აზრი, შენი რწმენა რა ნაირიც გინდ იმნაირი იყოს, დევ რადაც შეუსაბამოს ჰქადაგებდე.. განა სულ არა რაობას, სულ გაჩუმებას ეს არა სჯობია?“ (იხ. „კვალი“ 98 წ. № 39); ეს ის საზოგადო მოღვაწეა, რომელიც „საქმეზე, ჩვენის ქვეყნის ჭირ-ვარამზე ლაპარაკობს, ნდომულობს ახალი ცხოვრების დამყარებას, (იხ. „კვალი“ № 25, 99 წ.)... ის სხვასავით არ მოქმედობს, არ მოღვაწეობს იმიტომ, რომ „საქმეს სიტყვაზე წინ აყენებს, მამულის განახლებას საქმით ცდილობს და არა სიტყვით, მამულის სიყვარული რეალურ პირობაზე ჰსურს აგოსო“; ეს ის კაცია, რომელმაც ჩვენი ქუთათური დევ-გმირი კალის ტრატე დემოკრატად დასახა და „სიცოცხლით და ენერგიით აღსავსე“ მოღვაწედ აღიარა; ეს ის ეკონომისტია, აღებ-მიცემობის და ვაჭრობის მოტრფიალე, რომელმაც ბ. „მოსკოველ ვაჭარს“ (იგივე კვალიაშვილი) ვაჭრობა უკიჟინა და სასაცილოდ აიგდო და ეს მხოლოდ იმისთვის, რომ გაჰბედა ეჭვი შეეტანა მისს უცოდველობაზე და სიტყვა შეჰკადრა, ეს ის მეთაურია, ბაირაღტარია „იმ ერთი ჯგუფი ახალგაზდობისა“, რომელიც „მართლა დაურიდებელია კრიტიკაში“ (იხ. „კვალი“ 99 წ. № 27) და აკი ამისთვის განურჩევლად, აუწონ-დაუწონლად მართლა „დაურიდებლად“ იგინება; ეს ის სიმართლე-ჭეშმარიტების მეძიებელია, რომელმაც ყიფიან-გელეიშვილისა და დორპატის სტუდენტების საქმეში მიკერძოება, ქურიკანობა, ვიტყვით „კვალის“ ტერმინით „ფლიდობა, უგულობა და მატყუარობა“ გამოიჩინა; ეს ის სინათლის მოყვარული მოღვაწეა, რომელიც ხმა-მაღლა გაიძახოდა „მეტი სინათლეო“, მაგრამ რომელიც, სამწუხაროდ, როგორც ღამურა, სინათლეს ემალება და ეს მაშინ, როდესაც მის მოღვაწეობას სინათლეს მიაშუქებენ; ეს ის „დაუღალავი“ მოღვაწეა, „რეალური მამულის შვილი“, რომელმაც ერთის კალმის მოსმით საზოგადო ასპარეზიდგან ყველა გარეკა, ყველას „სულთა-თანა“ უგალობა (იხ. „კვალი“ 1898 წ. 39 №); ეს ის... მაგრამ შემიძლიან კი გავიხსენო ყოველივე ღვაწლი ამ „რეალურ მამულის შვილისა“, რომელიც საქართველოს წინაშე მიუძღვის?.. კიდით კიდემდე განხდა ხმა მისი და ყოველნი ძენი ქართლოსისანი ბუკითა და წინწილით ჰგალობენ მისსა დიდებასა! მომეტებულად-კი ხმატკბილად უგალობენ და უხვად გუნდრუკს უკმევენ მას ელიავები, სი—ძეები, ს. გ—ძეები და სხვა მაგისთანა ლიტერატურა-პუბლიცისტიკის გოლიათები, რომელთა ნიჭიერნი ნაწარმოებნი „კვალის“ მეცნიერულ ფურცლებს ამშვენებს.

(შემდეგი იქნება)

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ჟურნალი „Nauticat Magazine"-ი შემდეგ ამბავს მოგვითხრობს. ნორვეგიელი გემი „Drot"-ი პასკაგულიედგან ბუენოსჰაეროსში მიდიოდა თურმე. გზაზედ გემს უბედურება შეემთხვია, ქარი ამოვარდნილა და სულ დაულეწნია. 17 კაციდგან გადარჩენილა მხოლოდ ორი კაცი. როგორც აშაათ უამბნიათ, 9 კაცი მაშინათვე დაღუპულა, რა წამსაც გემი ჩაუძირავს; დანარჩენთ პატარა ტივი გაუკეთებიათ და იმაზედ დამსხდარან, მაგრამ გზაში ტივი ორად გაყოფილა, ერთზედ ორი კაცი მოჰყოლია, მეორეზედ დანარჩენნი. ამ უკანასკნელთაგან ერთი ჰკუაზედ შემცდარა და ზღვაში გადავარდნილა. ორ სხვასაც ვერ აუტანია უბედურება და ისინიც გადავარდნილან ზღვაში. ამ რიგად ნახევარ ტივზედ სამი კაციღა დარჩენილა: ორი ნორვეგიელი და ერთი ნემენცი. ორის თუ სამის დღის უგზო-უკვლოდ ზღვაში ცურვის შემდეგ ამ სამ კაცს საშინლად მოშივნია და მოსწყურებია. უფრო-კი წყურვილი აწუხებდათ თურმე. ბოლოს გადაუწყვეტიათ, კენჭი ვიყაროთ და ვისაც ერგოს, იმის ხორცით ამხანაგებმა გამოიკვებონ თავიო. კენჭი ნემენცს ჰრგებია. ნორვეგიელებს მოუკლავთ ამხანაგი და იმისი სისხლი დაულევიათ. ერთი ორი დღე კიდევ გაუტარებიათ ზღვაში და ბოლოს გემს შეჰხვედრიან, რომელსაც წამოუყვანია ეს უბედურნი. იმავე გაზეთის სიტყვით, ასეთივე ამბავი ამ რამდენისამე წლის წინად მომხდარა. ინგლისური გემი ინგლისიდგან ავსტრალიაში მიდიოდა. ატლანტიის ზღვაში საშინელი ღელვა ამოვარდნილა და გემი დაუმსხვრევია. ოთხის კაცის გარდა ყველანი დაღუპილან. ეს ოთხნი ტივზედ გადამსხდარან. მალე საშინლად მოსშივნიათ, რის გამო მოუკლავთ 19 წლის ამხანაგი და იმის ხორცით იკვებებოდნენ თურმე.

* * *

ამერიკაში ქალები ძალიან ეტანებიან თურმე მეეტლეობას, განსაკუთრებით ცხენის რკინის გზის ვაგონებზედ. ჩილის ქალაქებს სანტ-იაგოსა და ვალვარაიზოში ცხენის რკინის გზის ვაგონებზედ მეეტლეებად თურმე სულ ქალები არიან. იმათი ტანისამოსი შესდგება მოკლე კაბისა, ასაფარებელისა, რომელსაც წითელი ლენტი აქვს შემოვლებული, და განიერის ჩალის შლიაპისაგან, რომელსაც აგრეთვე წითელი ლენტები აქვს გაკეთებული. ამ ქალ-მეეტლეებს თანა აქვთ ორი აბგა: ერთში ფულს ინახავენ, მეორეში—საგზალს. ქალები დღეში ათს საათს მუშაობენ.

* * *

ინგლისის დედოფლის ვიქტორიის უმცროს შვილს ჰერცოგს კონნაუტისასაც მოუწადინია სამხრეთ აფრიკაში წასვლა ინგლისს-ტრანსვაალის ომში მონაწილეობის მისაღებად. ეს ამბავი არაფრად ეჭაშნიკა თურმე მთავარ-სარდალს გენერალს ბულლერს, რომელსაც პირდაპირ გამოუცხადებია სამხედრო მინისტრისთვის, სწორე მოგახსენოთ, არა მსურს, რომ პრინცი ჩემ ხელქვეით იმყოფებოდეს სამხრეთ-აფრიკაში. რაც უნდა იყოს, ხელს შემიშლის და თავისუფლად ვეღარ ვიმოქმედებო. სამხედრო მინისტრს, როდესაც დედოფლისთვის პრინცის სურვილი გამოუცხადებია, უთქვამს: თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ მრავალი მამაცი აფიცერი გყავთ, შვილი-კი მხოლოდ სამიო. დედოფალი კარგად მიჰხვედრილა მინისტრის აზრს და პრინცისთვის ნება აღარ მიუცია სამხრეთ აფრიკაში წასვლისა.

* * *

ამ დღეებში ჟიტომირის სასამართლომ უნდა განიხილოს ერთის ღორის საქმე. ეს ღორი მახლობელ სოფლის მედავითნეს ეკუთვნოდა. ერთის მემამულის მოურავს ღორისთვის ყანაში მოუსწრია და დაუჭერია. რადგანაც პატრონს თავისს საქონელი არ გამოუსყიდნია, მოურავს ერთი კვირა მშიერ-მწყურვალი შინა ჰყოლია ღორი; შემდეგ საჩივარი აღუძრავს სათემო გამგეობაში და ღორიც იქ გაუგზავნია. გამგეობაში საქმის განხილვას შესდგომიან, მაგრამ ამ დროს აღმოუჩენიათ, რომ ღორს ყანა სხვა სათემოს ადგილში წაუხდენია, რის გამო ეტაფით ღორი ახლა იქ გაუგზავნიათ. საქმე არც ამ გამგეობაში განუხილავთ, რადგანაც ღორი სასულიერო წოდების კაცს ეკუთენის და მაშასადამე ეს საქმე ჩვენ არ გვექვემდებარებაო. ღორი ახლა ქალაქში გაუგზავნიათ, მაგრამ გზაზედ, ბევრის წვალებისა და თრევისაგან მისუსტებულს, სული განუტევებია. საჩივარი ეხლა მედავითნეს აღუძრავს. საჩივარში მედავითნე მოურავს 40 მანეთს უჩივის თურმე. თუმცა ღორი ამ ფასად არა ღირდა, სწერს თურმე საჩივარში, მაგრამ მხედველობაში ის იქონიეთ, რომ ყოველ წელიწადს 12 გოჭს მაძლევდაო.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ნოემბერი

**ვენა.** დღეს, შუადღისას, იმპერატორს წარუდგა უნგრეთისა და ნაშუადღევის პირველ საათზე ავსტრიის დელეგაციები. უპასუხა-რა დელეგაციების პრეზიდენტებს, იმპერატორმა აღელვებულის ხმით მოიხსენია, რომ ყველა ხალხი იმპერიისა იმპერატორს შეუერთდა იმ ღრმა მწუხარებაში, რომელიც მოგვადგა იმპერატრიცისა და დედოფლის გარდაცვალების გამოვო. მონარქიის დამოკიდებულებას უცხო სახელმწიფოებთან წინანდებურად სრული მეგობრული ხასიათი აქვსო და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ევროპაში მშვიდობიანობა გაგრძელდებაო. ამის ნამდვილ თავდებად იმპერატორს მიაჩნია მჭიდრო დამოკიდებულება და ერთმანეთის ნდობა მოკავშირეებისა. მშვიდობიანობის თავდებად უნდა ჩაითვალოს კიდევ ყველა კულტუროსან სახელმწიფოების გარმონიულ მოქმედება გააგის კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ იქმნა რუსეთის იმპერატორის სულგრძელოვანის მეთაურობითო. შემდეგ იმპერატორმა სიამოვნებით აღნიშნა, რომ რუსეთის იმპერიასთან სრულს მეგობრულს დამოკიდებულებას ბალკანის ნახევარ კუნძულის საქმეთა შესახებ თან და თან სასიამოვნო ნაყოფი მოაქვსო. სამხრეთ აფრიკაში მომხდარ ომის შესახებ მთავრობამ გარდასწყვიტა მტკიცედ დაიცვას ნეიტრალიტეტიო და შეუძლიან ისურვოს მხოლოდ ის, რომ ჩქარა ბოლო მოეღოს ამ შეტაკებასო. შემდეგ იმპერატორმა აღნიშნა, რომ სამხედრო სამინისტროს მოთხოვნილებათ საზღვრავს მიუცილებელი და უსაჭიროესი ღონისძიებანიო.

20 ნოემბერი

**კაირი.** „რეიტერის სააგენტო". სუდანის ჯარის აფიცრები ლაპარაკობენ, რომ ხალიფმა, დაინახა-რა, რომ თავის ხსნა შეუძლებელი იყო, უთხრა ემირებს მის ახლოს დარჩენილიყვნენ და მასთან ერთად დახოცილიყვნენ. იმან გაშალა მიწაზედ ცხვრის ტყავი, იმაზედ ფეხი მოიკეცა და მარჯვნივ და მარცხნივ ემირები მოიჯდინა. ტყვია მოხვდა მას თავსა, მკერდსა, ერთს ხელსა და ფეხებში. ემირები მის გარეშემო დაიხოცნენ. უინგეტის ჯარმა გადაირბინა ხალიფსა და ემირებზედ. უინგეტი დაბრუნდა ხალიფის გვამის სიძებნელად, როცა მოუვიდა იმის სიკვდილის ამბავიო.

**ბერლინი.** გაზეთები განსაკუთრებით კონსტვატიულის მიმართულებისა, წინააღმდეგნი არიან ჩემბერლენის სიტყვებისა გერმანიასთან კავშირის დადების შესახებ. ოფიციოზური გაზეთები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ვინზორში არავითარი ხელშეკრულება არ დაუდვიათო, რომლის გამოც ჩემბერლენს ასე შეძლებოდეს ლაპარაკიო.

**ლონდონი.** ამერიკის ელჩმა სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც გულმხურვალედ მიესალმა იმ აზრს, რომ გერმანია, ამერიკა და ინგლისი ერთმანეთს უნდა დაეხმარონო.

**ბერლინი.** „Deutsehe Zeitung"-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდგან: „მეტუენის ჯარი უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება, რომელიც მიმწყვდეულია მდინარე მოდდერთან. მეტუენისთვის საჭიროა ცხენოსანი ჯარი და ცხენკიდებული არტილერია, რათა სრულიად არ მოეჭრას გზაო.

**პარიჟი.** „Temps"-ს ჩემბერლენის სიტყვის გამო არავითარი მსჯელობა არ აქვს. „Liberte" ამბობს, რომ ერთად ერთი პასუხი ის იქმნება, რომ ღონიერი ვიყოთ, ვაჩვენოთ, რომ არ გვეშინიან, მჭიდრო კავშირი გვქონდეს და ახალ მოკავშირენი ვიყოლიოთ შემდეგისათვის, შეიძლება ახლოს მომავალ დროისთვისაო.

**ლონდონი.** ჩემბერლენის მიერ წარმოთქმულს სიტყვას ინგლის-გერმანიისა და ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულების შესახებ ჰკიცხავენ არა მარტო ლიბერალური და რადიკალური გაზეთები, არამედ „Times"-იც.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ნოემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 217 |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 93 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | 99 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | 94 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 317 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | „ — | — „ | 274 |

---

### წერილი რედაქციის მიმართ

ვარდგენ ამასთანავე „ივერიის" რედაქციაში წერილს პატივცემულის პარასკევა სამსონის ასულის ქავთარაძისას კვიტანციით „კრებულის" რედაქციისაგან ფულების მიღებაზედ და უმორჩილესად ვითხოვ ადგილი დაეთმოს თვით წერილს ჩემდა გასამართლებლად:

„დიდათ პატივცემულო სოფრომ ზაქარიას ძევ! „ივერიის" მე-226 №-ში წავიკითხე თქვენი წერილი შესახებ იმისა, ვითომც ზოგიერთებისათვის თქვენ, როგორც აგენტს, გამოგეწეროს 1897 წელში ჟურნალი „კრებული", ფულიც მოგეგროვებინოს და კუთვნილებისამებრ არ გადაგეცესთ, რითაც უმეტესად თქვენ და შემდეგ წერილში ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც უკვე შეტანილი აქვთ და არა აქვთ, თანასწორათ ცილი ბრალდებათ, ვითომც „კრებულის" ფული არ გადაგვეხადოს. რადგან გაზეთში ჩამოთვლილს რიცხვში ხელის-მომწერ პირთა შორის მეც ვარ მოყოლებული, გთხოვ სიმართლის აღსადგენად დაბეჭდინოთ „ივერიის" მახლობელ ნომერში წერილი, რომ მე ფული პირდაპირ რედაქციის კანტორაში მაქვს გადაცემული, საიდამაც დაბეჭდილი კვიტანცია მიმიღია. კვიტანციას ამასთანავე გიგზავნი, რადგან უტყუარი საბუთია თქვენსა და ჩემს გასამართლებლად. გთხოვთ კვიტანცია არ დამიკარგოთ; მასთან ვიმეორებ თხოვნას, გაზეთში გამოაცხადოთ, რომ მე გადახდილი მაქვს „კრებულის" ფული. მე პირდაპირ რედაქციაში გავგზავნიდი ჩემს გასამართლებელს საბუთს გამოსაცხადებლად, მაგრამ ვამჯობინე, კვიტანცია თქვენ გამოგიგზავნოთ და თქვენვე გაზეთში ჩემის სახელით გამოაცხადოთ; თქვენც უფრო დარწმუნდებით სიმართლეზე, როცა თვითონ ნახავთ რედაქციის დაბეჭდილ კვიტანციას, ამიტომ გიგზავნით".

კვიტანციაში სწერია: „№ 46 (თუ № 41—ეს უკანასკნელი რიცხვი ისე ზის, რომ 6—საცა ჰგავს და 1—ც) 1897 წ. მიღებულია პარასკევა ქავთარაძისაგან ერთი წლის შვიდი მანეთი.—რედაქტორი—მაგიერი თედორე კიკვაძე".

მე, როგორც გადმომცეს, ეგნატე თევდორეს ძეს თურქიასაც რედაქციისათვის გაუგზავნია. „ივერიის" № 226-ში დაბეჭდილს წერილში ტყუილად არა ვთქვი, რომ „შეიძლება ზოგს გულიდგან გადაუვარდა, ზოგმა კიდეც გაგზავნა და რედაქციის გამგებელმა ბ-ს აკაკის დროზედ ვერ მოახსენა"-მეთქი. კარგს ინებებს ბ-ნი აკაკი გადაშინჯოს კვიტანციის წიგნები, ნაწარმოები რედაქტორის მაგიერის მიერ, და დარწმუნდეს, რომ მე იმის მეტი ფული, რაც გამოვაცხადე „ივერიის" № 226-ში- არა მიმიღიარა.

რედაქციას უმორჩილესად ვსთხოვ დამიმოწმოს, რომ თვით იხილა ქ-ნ პარასკევა ქავთარაძის წერილი, ჩემდამო მოწერილი, და კვიტანცია. *).

სოფრონ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი

---

*) აქ მოხსენებული წერილი და კვიტანცია ჩვენ თითონვე ვნახეთ.

რედ.


## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქ ს გამგეობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1899 წლის 1 დეკემბერს **მოხდება საჯარო ვაჭრობა** იჯარით გასაცემად კუკიისა და ავლაბრის იმ ავარაკებისა, რომელნიც ქალაქს ეკუთვნის: სახნავ, საძოვარ და სხვაგვარ მეურნეობისათვის გამოსაყენებელ მიწებისა; ზომით კუკიისა 888 დეს. 1,800 ოთხ-კუთხი საჟ. ავლაბრისა—1829 დეს. 460 ოთხ-კუთხი საჟ. პირობების გასინჯვა გამგეობის კანცელარიაში შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—1)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე"**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—42)

---

**აბრეშუმის ქსოვილები**

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზისაში (სასტუმრო „საფრანგეთის" პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—44) ნ. წერეთელი

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს საყოველთაოდ, რომ **ქირით იძლევა** ზემო სართული ახლად **შეკეთებულის ქალაქის ქარვასლისა** აბანოების კართან (შიოევისებური ქარვასლა). პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

(3—6.—2)

სამშაბათს, 23 ს ნოემბერს,

**თავ. ნიკოლოოზ გრიგოლის ძის ჩერქეზიშვილის**

გარდაცვალებიდგან ერთის წლის შესრულების გამო გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში. რასაც განსვენებულის ქვრივი და შვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.

(1—186—1)